№ 2 იანვარი 5, სამშაბათი 1893 იანვარი 5, სამშაბათი № 2

Библиотека
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზეთი ღირს

თვეს		თვეს	
12	14 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ გვარ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თბილისში, ერდელ ციას, ეკეკლიის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასა, სათავად-აზნაურთა ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1893

„ივერია“

გამოვა 1893 წელსაც იმავ პროგრამით, როგორც აქამდე.

ეს ერთ ჯერ დაიკვეთოს ბაზეთისა 1893 წლისათვის, მიმართონ:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში, № 21; ბ) „ქართველთა“ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიის, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საგილ-მამულო ბანკის ქარავსლის გალერეაში.

ტფილისასა გარეგ მცხოვრებნი უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამისთანავე აცნობებს, რომ ეს გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო ამ სკოლის-მოწყალე წინაშე, კინც გაზეთის დაკვეთასთან ერთად ფულს პირდაპირ რედაქციისა ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოგზავნის, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურზედ, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ

ივნისის 6-სს 1893 წ.

ტფილისის „ბრუკოკის“ ბარაბაზში გმართულ იქნება

ბ ა ლ ი

ტფილისის სათავად-აზნაურთ სასწავლებლი სასარგებლოდ.

ფასი ბილეთისა 2 მან. და 1 კაპ.

ქალებს შეუძლიანთ გულამოუჭერელ კაბებიც დაესწრონ.

ბალი სადამეს 9 საათზედ დაიწყება

ბილეთები იყიდეს „კრუკოკის“ შეიტყრთან.

„კ ვ ა ლ ი“

ნახატებიანი ახალი ჟურნალი

(დამატება „ჯეჯილისა“)

გამოვა 1893 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

მუდმივნი თანამშრომელნი არიან: თ. აკაკი წერეთელი, გიორგი ერემეული, თ. ი. მარსბადი; ჯერ-ჯერობით აღგეთ-ბეკეს თანამშრომლობა: ეკ. ბაბაშვილასა, ალ. გოგებაშვილმა, სოფრონ მგალობლიშვილმა, ი. ბახტაძემ (ხონელმა), ნ. ფომიჩევმა, ანტ. ფურცელაძემ, ს. ჭელინაძემ, ე. თავაიშვილმა, პ. უმიკაშვილმა. ნ. ხიზანიშვილმა (ურბნელმა), დ. ხოშტარიამ (ფეტუ მეკრელმა), გ. ოსიელიანმა და ა. კარსეკანაშვილმა.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან.

ნახევარის წლისა გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთი. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მან., გაგზავნით 3 მან., თითონ-ოფერა ეპაზად. ბარეთ განცხადება დაიბეჭდება სხვა-დასხვა ენაზე.

ხალის მოგზავრთ შეუძლიანთ დაიბაროონ ტფილისშიარწერნისეულ ქარავსლის ქართულ სახალხო-ამკითხველოდგან ტ. <ქართ. წერა-კითხ. საზოგ.> კანცელარიაში. ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიანთ იქიკენ „ჯეჯილის“ და „კვალის“ რედაქციაში ამ ჟურნალის დასაბარებლად.

ვინც „ჯეჯილსა“ და <კვალს> ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ეღირება გაუგზავნელად 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ-წერეთელი

სასლეგის ამშენებელ ამხანაგოისაგან სახლების ამშენებელ ამხანაგობის კანცელარიაში მსურველნი ადგილის სიტყვებით ვიხსენიებ ამ ძვირ-ხსენებულს წელიწადს სულის განტევების დროს. რაც მე შემეხება, ბატონებო, სულის ჩადგმის ჟამსაც ასეთისავე სიტყვებით მივეგებე. მაგრამ რა გამოვიდა? რა უნდა გამოსულიყო, როცა წუხილმა და ჩივილმა გასავალი დაჭკარგა და აღარაკის ესმის. ამა მოვეწყოთ და მოვიმართოთ ისე, რომ ნურც სამწუხარო გვექმნა რამე და ნურც საჩივლელი, თუ წელიწადმა ბეწვის ოდენი რამე დაგვაკლოს! ალალ-ბეჯად და ღვთის ანაბრად მიგდებულთ, თუ ათას რვაას ოთხმოც-და-მეთორმეტემ სისხლის ცრემლი გვადინა, მეცამეტეკ, ეს ათასწელ უფრო ნავსი და კეთილი რიცხვი, ვინ ხერის დაგვაყრის!? ნეტარ არიან მორწმუნენი და, მაშასადამე, ნეტარ და ბედნიერ ვართ ჩვენ, რომელთა გვრწამს და ვგჯერა, რომ დრო თავის თავად, ენდა ხელ-გაუნძრეველად ბედს მოგგორებს ჯარებზეო. თუმცა ფუტი ლამაოა ასეთი რწმენა, მაგრამ, ამასაკრომ მოვაკლდეთ, რით-ღა ვიცოცხლოთ, რით-ღა ვისულდგმულოთ! დიაღ, უნდა გვრწამდეს უკეთესი მერმის, უმჯობესი მომავალი, ხოლო გზად ჯ ბიდად ამ მერმისისა ჩვენ უნდა ვიწნეთ. ამისათვის-კი საჭიროა, რომ თვალნი გვესხნენ ტ ვიხმენდეთ, ხელნი გვესნენ და ვშრომობდეთ; თორემ მარტო.

ჯარწმისვამთ ღვინოს,
თქვენ სადეგრძელოს,
და გაუმარჯოს ჩვენ საქართველოს!—

არაფერი საქმე და არაფრადაც გამოდგება. ყანრთ-კი არა, ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში, შეიძლება, ისეთებიც გამოგვეროს, რომ ქვეყანა ინანიონ, ეს ამ ეკლესიის ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა შემდეგი დეპეშა ქ. ვარშავიდგან: „დიდად დაგვაღონა ჩვენის მწერალის კრესელიძის გარდაცვალებამ“. ქართველი სტუდენტები.

*** შაბათს, 2 იანვარს, ქართულ თეატრის 43 წლის შესრულების გამო სადღესასწაულო წარმოდგენა იყო. წარმოადგინეს ცხოველი სურათები და თითო მოქმედება ქართულ თეატრის დამაარსებელის თ. გ. ერისთავის პიესიდგან: „გაყრა“ და ზ. ანტონოვის პიესიდგან: „მზის დაბნელება“ და ორ მოქმედებიანი ვოდევილი ა. ცაგარლის პიესიდგან „ბაიყუში“. წარმოდგენაში სხვა არტისტთა შორის მონაწილეობა მიიღო მ. მ. საფაროვ-აბაშიძისამ. თეატრის დარბაზში დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ისე რომ თეატრში ტევა აღარ იყო. ბილეთები სულ გაიყიდა და ბევრი უკან დაბრუნდა, რადგანაც ბილეთები სულ აღარ იყო.

*** ჩვენ მივიღეთ მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარ ნინასაგან 3 მან. და ფოთიდამ ბ-ნ ვასილ იოსების-ძის თოფურიძისაგან 3 მან. ბ-ნ თ. ჟორდანიას „ჭრონიკების“ დასაკვეთად. ამ ფულისა იყო 253 მან. შესდგა სულ 259 მან.

*** 20 დეკემბერს პეტერბურგის „კეთილშობილთა კლუბში„ გაიმართა ქართული საღამო. ეს ოცდა მეხუთედ იმართება პეტერბურგში ასეთი საღამო, რომლის შემოსავალიც ... ...

რად ამ წიგნს. ფასი ამ კრებულისა, რომელიც შეიცავს 200 მეტს გვერდს, არის 40 კაპ.

*** ბაქო: 3 იანვარს ქურდებმა გასხეხეს ვაგონები და მოიპარეს 13 თოფი ჩითი და 11 თოფი ქიშმერი.

*** ყარასუ: 3 იანვარს მეისრე არაქელ აკოფოვი ჩავარდა მატარებელ ქვეშ და მძიმედ დაშავდა.

*** სუხუმი: სუხუმი, როგორც ეტყობა, თანდათან წინ მიდის. ქალაქი დღითი-დღე იზრდება, მატულობს. წელს გულ-სუსტთა რიცხვი იკლო; მიზეზი გახლავთ არა სუხუმის ჰავის უვარგისობა, არამედ ხოლერა, რომელმაც ყველა დიდად შეაშინა.

*** იქიდანვე: 19 დეკემბერს ჩვენს ქალაქში იყო დეპუტატთა არჩევანები. ჩვეულებისამებრ აირჩიეს ორი დეპუტატი და ორი კანდიდატი. არჩევანების დროს დაესწრო ჩვენი ახალი უფროსი ბატონი ბრაკერი, რომელმაც საზოგადოებას, სხვათა შორის, უთხრა: თქვენთვის, როგორც მე მგონია, კარგი იქნება ახალი საქალაქო დებულების შემოღება. მაგრამ უმჯობესია ამ საგანზედ კარგად მოიფიქროთო. საზოგადოებას ეს აზრი ძლიერ მოეწონა და აირჩია კომისია და დაავალა ამ საქმის დაწერილებით განხილვა. კომისიამ თავისი აზრი უნდა წარუდგინოს, ვისაც ჯერ არს, ამ ივნვარში.

ჩვენის მხრივ ვისურვებთ, რომ სუხუმს მალე ეღირსოს ახალი საქალაქო დებულება.

*** ქუთაისი: თავის დროზე მოხსენებული იყო, რომ 28 დეკემბრამდე ძლიერმა ზენა ქარმა ქუთაისს დიდი ზარალი მისცო. სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, სახლებისა და დუქნების პატრონებს ოთხი-ხუთი ათასის მანეთის ზარალი მაინც უნდა მოსვლოდათ. შიში იმდენად ძლიერი იყო, რომ ამ სიცივეებში ბევრი ცეცხლის გაჩაღებასაც ერიდებოდა.

*** იქადმეე: აქ განზრახვა აქვთ ხელის მოწერით ფული შეაგროვონ განსვენებულის ჯანე ივანეს ძის კერესელიძის სახლობისათვის.

*** ს. დამბისყანა (გორის მაზრა): 16 დეკემბერს აქაურმა გლეხმა გიორგი გიგაურმა ცულით დასჭრა ანდრია ზაზარაშვილი. საბრალო ძლიერ ძნელად არის დაჭრილი; იმედი აღარა აქვთ იმის მორჩენისა. დამნაშავე შეიპყრეს. საქმე ადგილობრივ გამომძიებელს გადაეცა.

*** დ. სურამი: 20 დეკემბერს, ღამის 6 საათზე სურამის მცხოვრებელს ვაჭარს ტირიკაშვილს დაეცნენ ბოროტ-განზრახველები სურამსა და ხაშურს შუა გზაზე და გაძარცვეს: წაართვეს ერთი ბოღჩა ჩითი. სურამის ბოქაულმა დამნაშავენი უკვე იპოვნა და შეიპყრო. ისინი ს. ოსიაურის მცხოვრებლები აღმოჩნდნენ: მიტრო და გირა ჯედლიშვილები, სანდრო გელაშვილი და სოლომონ დაბრუნდაშვილი. საქმე სურამის გამომძიებელს გადაეცა.

*** ს. ხაშური: 20 დეკემბერს ტფილისის მცხოვრებელმა ივანე მიროსვამა წაღის დანით დასჭრა გულში ახალქალაქის მცხოვრებელი დურგალი ნიკო შირიაევი. დამნაშავე მოვრალი იყო. გამოძიება სწარმოებს, შეპყრობილი გადასცეს, ვისაც ჯერ არს.

*** ს. ჯავა (გორის მაზრა): აქაურმა მცხოვრებელმა მიხეილ ჯიჯოშვილმა ს. კეხვი გასტეხა დუქანი, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებელს გიორგი ზანგულაძეს ეკუთვნოდა. როდესაც დუქანში შევიდა ქურდი, პატრონმა ზანგულაძემ მოასწრო, შეიპყრო ქურდი და წარუდგინა ადგილობრივ ბოქაულს. ამ დაჭერაში ჯიჯოშვილმა საშინლად დასჭრა ზანგულაძე.

*** 3 იანვარს მოსკოვის ბალკაში ვასილ ნედოსასოვმა სიმთვრალეში სახლის აივნიდგან რევოლვერი გაისროლა. ტყვია მოხვდა ქუჩაზე მდგომს იაკობ ლარინს. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს ნოჯიენკის ქუჩაზე მცხოვრებმა ნიკოლოზ ამორეევმა სიმთვრალეში ძეძეში დანა დაიცა. დაჭრილი სამკურნალოში გაგზავნეს.

ახალ-ფლის ღამეს ჯავახეთში

დღესაც დაღამდა, ბიჭებო,
ხვალე სხვა წელი დგებაო;
ცომი მოზილეთ, ქალებო
და მოამზადეთ ტაბლაო [1]).
დაწყეთ ერთი „ბასილი“ [2])
და ერთიც წლისა პურია:
„ბასილი“ წმინდა ბასილსა;
პური-კი ჩვენი მხვედრია.
„ხარისა ქედიც“ [3]) დაეცხეთ
და ორიოდე კოკორა [4]);
ცხრილშიაც ქერი ჩაყარეთ,
შემოვიყვანოთ ნიკორა.
წყვილი სანთელიც დაპქენით,
მივაკრათ ორთავე რქებსა,—
ბირიმე იმის ქედისა,—
ვნახოთ სად მიანათებსა!
ქალო, ცეცხლს შეშა დაადე,—
აგუგუნ-ალაპლაპდესა;
ცეცხლს ახლო მაშა დაადე,
დავკრა ჩვენს მუგუზლესა:
„ამდენი ცხვარი და ძროხა,
ამდენი ცხენი, ფულიო,
რამდენიც ემა შეშასა
სცვიოდეს ნაპირწყალიო.
ბიჭებო, რაცა ადგებით,
ნუ ივლით ფეხ-მიშველიო;
თორე რა მიდგებ-მოდგებით,
შეგეყრით მაწა-მწველიო [5])
ყიყლიყო არ უნდ მომესმეს,
ისე მოვზიდო „უნძრახი“ [6]),
რომ არავისგან მომესმეს
ხვალე სიცილი და ძრახი.
ქალო, ვიდრე მე მოვიდე,
ზედ ტაბაკს ტყლაპ-კაკალიო:
ცხვარ-ძროხას ხონჩით მივადგე,
არ ეცეთ იმათ თვალიო.
შემდეგ ავიღებ მე ხონჩას,
სანოლებით გაკაპაშებულს,
სამჯერ მოუვლი ერდო-ბანს,
ბანით ჩავადგებ წლისა პურს.
რძალო, ადექე მას თვალი:
ნანახოთ რა პირზედ დადგება.—
ბედი ან უბედურება
ამ წელს მისგან გაიგება.
თქვენზეც მივიცლი, ხიზანო [7])
„ასე ტაბლამთაც დაბერდით!“
შენ ნუ მიმტყუნებ, იზანო, [8])
ვინ დავბერო წინ ალვითო;
სახლო, აგცილდეს მონება
თათრისა, მაჰმად რჯულისა;
უფალო, მოგვეც გონება
შენახვის ქრისტეს რჯულისა!

[1]) ტაბლა, ხორაგით სავსე ხონჩა.
[2]) ბასილი, პურია ადამიანის სახისა. ამ პურს წმ. ბასილის დღეობას აცხობენ.
[3]) ხარის ქედის მსგავსი პური.
[4]) კოკორა, კვერია.
[5]) მიწა-მწველი—მეშუკეა ფეხის გულზე.
[6]) უნძრახი, ისე ადრე მოტანილი წყალი, რომ მომტანი არავის დალაპარაკებოდეს.
[7]) ხიზანს ჯავახეთში ოჯახობას ეტყვიან.
[8]) იზანი, ტყეა-გონებაა.

ნიშნულება?

— კარგი, ვსთქვათ, შესაწყნარებელია ასეთი სისტემა სწავლებისაო, მეუბნებოდა დავთარ-დაკარგული და გონება-აფორიაქებული მასწავლებელი რეგიზორის წასვლის შემდეგ, მაგრამ როგორ შეიძლება, ყველა იმ საგანს, ან იმ საგანთა სურათს, რაიაც ცხოვრებაში საცოდნელად და სასწავლად საჭიროა, სკოლაში მოუყარო თავიო.—შენ-კი არა, შენს რეგიზორსაც გაუკირდება მაგის მოხერხება-მეთქი, ეუპასუხე მე და მწარე ფიქრებში გართული მოვშორდი სკოლას.

არ გასულა შემდეგ ამისა ერთი კვარაც, რომ თითქო მალამოდ ჩემის წყლულისა, გაზეთ „ნედელიის“ [illegible]ამბრის წიგნი ჩამივარდა ხელში. ამ წიგ[illegible] სხვათა შორის, ჩემი ყურადღება მიიქ[illegible] ბ-ნ მენშიკოვის წერილმა კითხვის შ[illegible] (о чтении).

ჩვენი საზოგადოებაო (რა თქმა უნდა, რუსების შესახებ), ამბობს ბ-ნი მენშკოვი, სრულიად არაფერს კითხულობს და, თუ წაიკითხავს რა სმე, ისევ აბდა-უბდას და სარჩირ-კედელაოს, რომლის ბეჭდვა თურთ სასტამბო დაზგისათვისაც (станокъ) სირცხვილია და სათაკლოო.

ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზად მენშკოვი სახავს სწავლის სიტემას ჩვენს სკოლაში, სადაც უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ბერძნულ და ლათინურ გრამატიკაზე, რის გამოც მოაწყეს არც დრო აქვს, არც მოცალეობა და არც შეძლება, რომ სამშობლო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოები ვიცნოსო. აწ არსებული სისტემა სწავლებისა, მართალია, ატესტატს სიტყვიფსას (аттестать зрѣлости) მიაღებინებს ამა თუ იმ ახალ-გაზრდას, მაგრამ ვერას შემთხვევაში ვერ მიაღებინებს ატესტატს განვითარებასასა (аттестатъ развитости). ახლანდელი ახალგაზრდა ისე უცოდინარია დედა ენასა, რომ ყველა რედაქტორი ყოველის ჟურნალისა და გაზეთისა ტრის და წუწუნებს: ვეღარ ავსდივართ, ლაჯი წაიღო დაბა-სოფლებიდამ მოწერილ ამბავთა გასწორებამაო.

უცილობელი ბეშმარიტებაა, გაგაგრძობს ბ-ნი მენშიკოვი, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ ერს გეოგრაფიისა და არითმეტიკის უცოდნელად უმაღლესი კულტურა ჰქონდეს, ხოლო დედა-ენის უცოდნელად (სკოლაში იქნება შესწავლილი, თუ პრაქტიკულად) ეგ ყოველად შეუძლებელიაო. დედა-ენა თვით უუმჯობესესი ფსიხიური ძაფებით შეკავშირებულ-შეერთებულია ამა თუ იმ ერის აზროვნების ბუნებასა და სულიერ აგებულებასთან. ამიტომაცაა, რომ პოლიტიკური თავისუფლების დამკარგავნი წვრილმანი ერთნი ისე იბრძვიან ენისა-თვის, როგორც საკუთარის ხორცისა და სისხლისათვის. დაკარგვა ენისა დაკარგვაა ეროვნულის პირადობისა (народная личность). ენა, ბიუფფონის სიტყვით რომ ვსთქვათ, იგივე ადამიანია, ილუსტრა განხორციელებაა ადამიანს უხილავ სულის ხმგმისა, მისი შინაანი „მე“... უცხო თესლთა პსიხიკად შემოსევისაგან თავისუფალი ერ წინაპართა მიერ დატოვებულს საუნჯეს (ენას) არც ახდენს, არც აფუჭებს, არამედ ასწორებს, სისრულესა ლ სავსებაში მოყვავს. ესა თუ ის ენ ისე ძველია, როგორც ესა თუ ი ერი, მაგრამ, რაგვანაც ერი ყოველთვის ვერ ცოცხლობს, არამედ ცოცხლობს მხოლოდ ესი უკანასკნელი თაობა, ამიტომაც ეს თაობისაგან დედა-ენ ნა წინაპართა სულის გავლისწინებაა, ამათი ოდესმე სულიერ არსებობისა და აზროვნობის ფალური ძეგლიაო.

წერილი ქუთაისიდამ

27-ს ამ თვისასა, აქაურს სოფლის ეკლესიაში გადახდილ იქმნა ანაშვიდი განსვენებულის გრ. არუნის მოსახსენებლად. თუმცა ადგილს საოცარი ზენა ქარი ჰქროდა ისე, რომ ქუჩაში გამოსვლა მეტად საძნელო იყო, პანაშვიდზე მაინ საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო. სომხებს გარდა დაესწრნენ ჩვენის ზოგადოების წარმომადგენელნიც. პანაშვიდზე წარმოთქმულ იქმნა ორი სიტყვა—ერთი სომხურად სომხისაკენ მასწავლებლის მიერ და მეორეც—ქართულად მამა ტერ-დავითისა ალიაღლიანცის მიერ. სიტყვა მამა ტერ-დავითისა ყოველფერით ზესანიშნავია, ზესანიშნავია ფორმითაც და არითაც და ამიტომ ამ შეგვიძლია, ოდესღაც მაინც არ ოვიხსენიოთ ესი ესი შინაარსი. მამა ტერ-დავითმა, ჩამოთვალა-რა ყველა ის უბედურება, რომელიც წლის თავზე დაატყდა სომხის საზოგადოებას, ეკლესიის და მწყოლობას, სახელდობრ ის უბედურება, რომელიც სომეხთ ეწვია ნათლიდება დღეს, შემდეგ სიკვდილ გამოჩენილი პოეტის პატკანიანის და ორის წარჩინებულის ეპისკოპოსისა, სოქვა, რომ ბედმა ეგოდენი უბედურება ამ გვაკმარაო და წლის მწყურულ ხელიდამ გამოგვაცალა საყვარელი და მხნე მწერალი გრ. არუნი, რომელმაც, მიუხედავად ისა, რომ გვარიშვილობა, ნივთიერი შეძლება და განათლება ხელს უწყოდ მშიდი და ბედნიერი ცხოვრება მოეპოვებინა, ყოველსა მასახუელსა სახელის მოხვეჭა ამჯობინა და გზა-ს ბედნიერებისა, განკურნოლესა ძმჯობინა გზა ძნელად სავლ და ეკლიანი, გზა მწერლობისა, დასურათა-რა ზნეობრივი სახე ეროვნებულის მწერლისა, მ. ტერ-ვეთმა განუმარტა დამსტრეთ ხასიათ და მიმართულება გრ. არწრუნისა, ოგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწისა. თავი და თავი თვისება განსვენებულის მოღვაწისა ის არის, რომ იმისი აზრი და გონება არტრილებდა სომხის ეროვნების ვიწო წრეში, არამედ პირადობისა, ეროვნებისა და ეროვნების მუხედავად სიმართლეს ჰქადაგებდა, ა ეს ერის იმის მიზეზი, რომ განსვენებულს ეგოდენი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურო.

მთელ სომხობამ და კერძოდ მის წარმომადგენელებმა, სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს „მშაკის“ რედაქციას. ამ ბოლოს დეპეშა გაუგზავნეს იმ ქართველებმა, რომელნიც პანაშვიდზე დაესწრნენ.

ა. ს—ი

ბზად-გაგზავნილი და ნახული

ტფილისიდგან სიღნაღს მივდიოდი. სხვათა-შორის ჩემთან მოდიოდა ერთი მემკვიდრე სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის თ. ი. რ. ნდრონიკაშვილისა. ყოფილიყო სალიტავად ქაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და გზაზედ შემაჩივლა, რომ საკითხავი წიგნები მინდოდა მეყიდნ, ერთი მანათი მქონდა გადადებული, მეტიც რომ დამხარჯოდა, არ დაინანებდი, ოღონდ კარგი წიგნები ეყიდნო, მაგრამ ვერ ვიყიდე, არ ვიცოდი, სადა ჰყიდიანო. ერთს-კ შეეხვდი და ვიყიდე და არ ვიცი, კარ საკითხავი იქნება, თუ არაო. ამოიღო უცბადამ საგულის-გულოდ გახვეული ხელსახოცში და მაჩვენა. ეყიდნა „ასპინძის ომი“ გოგებაშვილისა. ჩემს გამოკითხვაზედ მიანბო, რომ აღის შვილებს, სწავლობენ კადეტთა კორპუსში, უჩუქებიათ „ბუნების კარი“. „რა კი რამე ყოფილა ცოდნაო, ცოტაღი არ გამოვფიზიწლდიო“! და ბევრი რა მიამბო „ბუნების კარიდამ“. ისეთ ნაირად ვიყავ წინათ გატაცებული, რომ დოლის დროსაც-კი არ უჭებდი ეწყნს ხელიდამაო“. ყველა მწყემსებს მემკვიდრეებს, მეძროხეებს და მეჯოგეებს, ანდატონიკაშვილსას ერთი ბინა ჰქო-

ნიათ. საღამოთი მოიყრიან თავს ყველა მწყემსები და ზოგი კითხულობს თურმე წიგნებს და დანარჩენი ყურს უგდებენ. ოთხს კიდევ სხვასა სკოლენია წიგნი. „ჭაქი გათენებამდის გვინთიო და, როდემდისაც გვინდა, ვკითხულობთო. როცა ცხვარს მივდევო, გუდებში ვვიღაგია წიგნები, ამოვიღებთ და ვკითხულობთო“. საზოგადოდ ძლიერ ემადრიელებოდა აღას და ნამტენავდ აღის შვილებს, რომელნიც თურმე აქეზებენ სწავლაზედ წიგნების ჩუქებით.

ამავე მგზავრობის დროს ვნახე ს. მელაანში ერთი-ორი თვის მახინჯად დაბადებული ბავშვი. ბავშვს მარჯვენა მკლავი ნიდაყვამდის აქვს, მარცხენა ფეხი მუხლამდის, მარჯვენა ფეხი ქუსლამდის, თათი არა აქვს. დანარჩენი ასოები აგებულებისა სრული და საღი აქვს. ეს გარემოება დედ-მამას ღვთიდგან მოვლენილ სასჯელად მიუღიათ და თავებს იხოცადნენ თურმე. საწყალ ბავშვს პირველ ხანებში თურმე ძუძუს არ აწოვებდნენ, რომ მისთვის ბოლო მოეღოთ, მაგრამ ზოგიერთების რჩევით მერე მოვ-ია დაუწყეთ.

„რა, ვქნა რა უყოვო“—შემამჩივლა მამამ ბავშვისამ—„ჩემი თავი შევინახო, ცოლი, იმოდენა წვრილშვილები, თუ ესაო. ამას ხო ხელი ადამიანისა ვერ მოეშორებაო. ნეტავი ერთი ღვთისნიერი ამოჩნდეს ვინმე და მამაშოროსო და მაგის ცოდოს არ მაყურებინაო“.

მართლა და, დიდ მადლს დასთესავდა, ვინც მოაშორებდა იმ ბავშვს მშობელთ.

მგზავრი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ტფილისის რუსულ გაზეთების ახალ წლის ნომრებში დაბეჭდილია რადენიმე სიტყა წარსულ წლის შესახებ. ყველა გაზეთის მეთაურ წერილებში სამინლადა ჭკილავენ ჯ ჭკიცხავენ ცხონებულს 1892 წელს. ემდურებიან, ნათლიდება დღეს უბედურება რად მოახდინე, მოლტითის სადგურთან მატარებელი რად დამსხვრე და ხოლერა რად გამოგვიგზავნეო. მართალია, ყველა ამაში დამნაშავეა განსვენებული წელიწადი, მაგრამ, ნუ თუ ცოტა რამ მაინც სახეირო არ მოგვიტანა იმ ავაზაკობამ? როგორ არა, ბევრ ავაზაკობასთან ბევრი კეთილ გაცობა ჩაიდინა წარსულმა წელმა. გაზეთი „Кавказъ“ი სწერს:

წარსული წელი დაუიწყარია ჩვენთვის პირველად ამიტომ, რომ ამ წელს კავკასია გაუბედნიერეს თავიანთის მობრძანებაი სელმწიფე იმპერატორიმ და დიდის მთავრისამ ქსენია ალექსანდრეს ასულმა. შემოდგომაზედ კავკასიაშია მობრძანდა მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდის მთავრის გეორგი ალექსანდრეს ძეს მეოდი წელიწადი კავკასიაში გატარა. ეს ორ დიდ სასიამოვნოა, რადგანაც ამტკიცებს, რამდენად ჭეკარენია რუსეთის სელმწიფეს კავკასიელებს მოსელის რუსეთის უმშვენიერესი გუთუ სჯერთეელო.

კერძოდ ტფილისისათვის წარსული წელიწადი სრულებით ურიგო არ იყო. ამ წელს ქართველმა თავადაზნაურობამ კეთილ მოქმედობის დიდი ძალღონე გამოიჩინა, ჯერ სოდერის წინააღმდეგ ბრძოლის დროს და შემდეგ იმ მეფეთოსებთის და გულ-დადებით, რომლითაც შეუდგა ზრუნვას კასეთში რეინის გზის გაკეთებას სჯმისს.

კავკასიის სომეხთა საზოგადოებისათვისაც არ იყო ურიგო წარსული წელი. ამ წელს მოხდა სომეხთა კათოლიკოსის არჩევნება. ამ არჩევნების დროს სომეხთა საზოგადოებას ძლიერ წესიერად აკერა თავი. სამწუხაროდ, ესეკე არ ითქმის ტფილისის სომეხთა საზოგაოოების შესახებ. ტფილისის სომხობა, როგორც წესი და რიგი იყო, ისე ვერ მოიქცა ვერც კათოლიკოსის არჩევნებისათვის დელეკატის არჩევის დროს და ვერც განსვენებულის გრ. არწრუნის დასაფლავების დროს. ტფილისის მჯმადანთ, ჩვენდა სასიამოვნოდ ძლიერ გაკეკავერეს ხოდერის დროს თავიანთ ზრუნეთ სასუფოსეთის და სიწმინდისათვის.

გაზეთი „Нов. Обозъ,“ ჯერ ჭიკცხავს და ჭკილავს წარსულ წელს და შემდეგ ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, არც ძლიერ ცუდი იყოვო.

ბაკალითად ტბილისის თავკან-აზნაურობა შეუდგა ისეთს კეთილს საქმეს, როგორც არის კასეთის რკინის გზის გაკეთება.

მაგრამ ბოლოს მაინც „Нов. Об.“-ს გულმა ვერ გაუძლო და დასძინა: „ქართველ თავად აზნაურთბისათვის ეს საქმე ძლიერ ძნელიაო.“

გაზეთს „Т. Л.“-ს ძლიერ თურმე შეჭმურდა, რომ დეკანოზმა დამბაშიძეს „მწყემსის“ რედაქტორობის ათის წლის იუბილეი იდღესასწაულა და ამიტომ თითონაც დდესასწაულობს 6 წლის იუბილეის და ამბობს: „ძრიელ ყოჩაღი ბიჭები გახლავართ; წარსულ წელს კარგად ვიმუშავეთ და მომავალ წელს ხომ ისე დავტრიალდებით, რომ ქართველისა და ბაზაზნანის ვაჭრები სულ ფაცი-ფუცითა და თავის მტვრევით გამოიქცევიან ჩვენ გაზეთის „გამოსაწურადამ“.

წერილი რედაქციის მიმართ

ჩვენგა სამწუხაროდ, ჩვენგან დაკარგებული ქართველ-ეკონომ-ებისა ი. ი. კერესელიძე, როგორც მოესენებათ მეკითხველნი, გამოესვლის უმაღურ წუთისოფელს. რადგან ი. ი. კერესელიძეს სატოცსლეში ვერ მოუუბეთ ბუდი, ესლა მაინც ვსცეთ პატივი და ავუგოთ ღირსეული ძეგლი. ამით და კმტეკებთ, რომ, თუ ეს ქონებათ ღირსნი, მაგრამ სულითა და გულით მდადრნი ვართ. არც ისე ვართ ღატკენი, რომ არ შეკეძლოს გამოვიღოთ თითო ანაზი და თითო მანეთი ამისთვის, ვის წესლობითაც დღეს ჩვენ გამოკლებულნი არა ვართ სხვათა ერთა შორის ლიტერატურის მხრივ ი. ი. კერესელიძის ძეგლს დადი ფეხი არ უნდა, ს

ცოტა ხნობით გზათა მინისტრად ყოფილა.

გუშინ საღამოთი პეტერბურგს მოვიდა ბუხარას ᲔᲛᲘᲠᲘ, შვილითა და ამალითურთ. ᲔᲛᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ოთახები ერმიტაჟში დამზადეს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 2 იანვარს მომხდარ ტირაჟში 1 სესხის შემდეგ ბილეთებს ხვდა მოგება:

№ № სერიისა	№ № ბილეთისა	მოგება
7373	7	200000
3734	46	75000
2699	3	40000
9572	47	25000
11503	8	10000
17749	23	10000
7487	44	10000
17954	13	8000
15686	27	8000
15487	36	8000
18217	7	8000
19689	41	8000
15947	46	5000
13055	16	5000
16224	7	5000
10316	36	5000
4	48	5000
14362	24	5000
1370	6	5000
6212	27	5000
14500	16	1000
5089	38	1000
3506	36	1000
3895	45	1000
9792	43	1000
2988	43	1000
395	12	1000
12062	35	1000
4527	7	1000
8964	40	1000
12072	7	1000
319	30	1000
8871	28	1000
1645	33	1000
14416	13	1000
18304	50	1000
11238	37	1000
15231	43	1000
1694	40	1000
14428	50	1000

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დროებითი მართვა მინისტრის ამხანაგს ვეშნიაკოვს ჩაბარდა.

გამოცხადებულია საგანგებო ბეჭრის დადგენილება ციმრის რკინის გზის გაყვანის შესახებ. გადასწყეტეს: რკინის გზის გაყვანის საქმე სამ[illegible] დაზედ უნდა გაიყოს და სამ[illegible] გაკეთდეს. პირველის რიგ[illegible] ოიგად უნდა დასრულდეს 19[illegible] გაყვანა პირველ რიგის[illegible]ᲐᲝᲝ წლამდე. 150 მ[illegible]ლიონ[illegible] გადადებულია მინისტრს [illegible] ᲐᲜᲐᲗᲐᲛᲓᲔ. ფინანსთა ფო ხაზ[illegible]ᲔᲤᲚᲔᲑᲐ მიეცა სახელმწიფ[illegible]ᲜᲘᲜᲓᲒᲐᲜ გადასდოს 92,734,591 მან[illegible]ᲗᲘ ციმბირის რკინის გზისათვის მოსახმარებლად. ეს ფული ᲪᲝᲢᲐᲪᲝᲢᲐᲗᲘ უნდა დაიხარჯოს 1893 წლიდგან 1900 წლამდე არა უმეტეს 40 მილიონისა წელიწადში. რკინის გზის პირველ რიგისათვის მოპოგბული იქმნას ფული 57,265,409 მანათი ჩვეულებრივისა ან საგანგებო შესამოვლიდგან, ან არა და ეს ფული სესხად იქმნას აღებული; დაარსებულ იქმნას საგანგებო კომიტეტი, რომელსაც სახელად ეწოდება „ციმბირის რკინის გზის გაყვანის საქმეთა გამგებელი კომიტეტი“. კომიტეტში იქნებიან შინაგან საქმეთა, სახელმწიფო საქმეთა, ფინანსთა ᲓᲐ გზათა მინისტრნი და სახელმწიფო კონტროლერი. კომიტეტის თავმჯდომარეს თვით ხელმწიფე იმპერატორი დანიშნავს.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ. ჩერნოგორიის მთავარმა გაზეთ „Новости-ს რედაქტორსა და გამომცემელს ნოტოვიჩს უბოძა ორლენი დანიელისა.

4 იანვარი

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. გუშინ დაჰპატიმრეს პარიელი კორესპონდენტი ბუდა-პეშტის გაზეთ „Hirlar“-ისა სელელი, რომელიც ცილსა სწამებდა იმ სახელმწიფოების ელჩთა, რომლებთანაც საფრანგეთს სამეგობრო განწყობილნა აქვს; ეს კორესპონდენტი განდევნილ იქნება საფრანგეთიდგან. განდევნილ იქნებიან აგრეთვე კორესპონდენტი ერთის ნემეცურის და ერთიც იტალიურის გაზეთებისა. რიბომ მწუხარება გამოუცხადა იმის გამო, რომ ცილის მწამებლის წერილები ორმა საფრანგეთის გაზეთმაც გადმობეჭდეა.

პანამის საქმის გამო, რაც-კი ანგარიშს შეეხება, ჩვენება ყველას ჩამოერთვა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 30 ᲓᲔᲙᲔᲛᲑ.

	მეოდენ ლისა.	ᲒᲐᲛᲘᲗ. ᲓᲔᲓᲚᲘᲡᲐ.	ᲒᲐᲛᲘᲗ. ᲓᲐᲑᲚᲘᲡ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
რუბ-მანათიანი ოქრო .	7,[illegible]	7,[illegible]	— ,,
ტამბოვის კუპონები .	157²/₄	158³/₄	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული . . .	1,[illegible]	1,[illegible]	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის შამგები ბილეთი	— ,,	— ,,	245³/₄
—მეორისა	— ,,	— ,,	221¹/₂
სახელმწიფო ოვალდ-ბანკნოტრის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	— ,,	192¹/₂
ბირჟანიის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	102¹/₂	— ,,	— ,,
5%.	99⁷/₈	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	102¹/₂	— ,,	— ,,
5%.	99⁷/₈	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	98³/₄

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲐᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

მიმოსვლა ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲔᲓᲐᲖᲔᲓ

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲚᲘ 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ᲢᲤᲘᲖᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲯᲐᲡ ᲨᲣᲐ.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲯᲐᲓᲘᲡ:

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შვილის ნოვოროსიისკში, ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შვილის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით 4 საათზე სოხუმსა და ნოვოროსსიისკეთ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲓᲘᲡ:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისსა და სოხუმით.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკეთ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შვილის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲗ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შვილის, ღილის 5 საათზე,

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შვილის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიილებიან უსაგზლოდაც.

ᲜᲘᲨᲜᲘ

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ.	„ 4	„
„ „ 2 „ „	„ 3¹/₂	„
„ „ 3 „ „	„ 3	„
თონ. წითო. პურ. 1 ხარ.	„ 5	კ.
„ „ „ 2	„ 4	„
„ „ „ 3	„ 3¹/₂	„
ᲥᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲚᲐᲕᲐᲨᲘ.		
1-ის ხარ. პურ. ლავამ. 1 გ.	7	კ.
მე-2 „ „ „ „	5	„
მე-3 „ „ „ „	4	„
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა	7	კ.
სუკი — — —	12	„
ცხვრის ხორცი — —	7	„

ᲒᲐᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

გამოვიდა და დაურიგდა აგენტებს ქუთაისის ამსნაგობის მიერ გამოცემული

„ᲛᲬᲘᲠᲘ“,

დეკემბერტოკისა ნათარგმნი გრ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ფასი ორი შაური

(3—2)

„ᲡᲘᲫᲚᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲪᲝᲓᲕᲐ“

ფრანდ კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ინანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

ᲝᲗᲮ. Დ—ᲠᲘᲡ ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲡᲐ.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშეალებაა დასხენელებული ზემოსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ᲓᲐᲜᲘᲡ და ᲚᲝᲜᲘᲡ დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგრეთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიის). უცო-ქმეულნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—20)

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

1893 წელსაც გამოვა ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამით, რა პროგრამითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

12 თვითო. . .	10 მ.—კ.	6 თვითო . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50„	5 „ . . .	5 „ 50„
10 „ . . .	8 „ 75„	4 „ . . .	4 „ 75„
9 „ . . .	8 „ —„	3 „ . . .	3 „ 50„
8 „ . . .	7 „ 25„	2 „ . . .	2 „ 75„
7 „ . . .	6 „ 50„	1 „ . . .	1 „ 50„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ᲔᲚᲘᲠᲘᲗᲐ 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ᲘᲕᲘᲠᲘᲐ“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეშე მცხოვრებ უნდა დაბარონ კაზეთის შემდეგის ადრესით: Тифлисъ. въ редакцію грузинской газеты „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვითვ განშავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

Ა) მეოთხე გვერდზედ თითო ᲯᲔᲠ სტრიქონი 8 კაპ., ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲖᲔ—16 კაპ. Ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ᲗᲮᲣᲚᲝ შერვეული გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოანგარიშება იმის გვერდობაზე, რამდენს ადგილსაც დაიკავებს 25 ᲐᲗᲐᲮᲘ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ტექსტისა.

ᲮᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲘ და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ᲮᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. ᲐᲠ-ᲓᲐᲡᲑᲭᲔᲓᲘ ᲮᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ, თუ ერთის თვეის განმავლობაში მეტრანე�ა ᲐᲠ მოიოხოს, მერე რედაქციას ᲒᲔᲚᲐᲠ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲕᲔ.

ᲐᲠᲐ-ᲒᲕᲐᲠᲡ ᲛᲘᲬᲔᲠ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐᲡ ᲐᲠ-ᲓᲐᲡᲑᲭᲔᲓᲗᲐ ᲮᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ და ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ მესახებ რედაქცია არა ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲡ.

ᲞᲘᲠᲘᲚᲐᲓᲐᲠᲘ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ რედაქცია თვეისუფალი იქნება ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲜᲝᲛᲔᲠᲝᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, თავ. ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡᲣᲚᲘᲡ სახლში. № 21.

რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის საგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—27) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

Во всѣхъ книжныхъ магазинахъ Россіи

ПРОДАЕТСЯ

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ

СОЧИНЕНІЙ

М. Ю. ЛЕРМОНТОВА

СЪ ПОРТРЕТОМЪ ПИСАТЕЛЯ, ЕГО БІОГРАФІЕЙ, ФАКСИМИЛЕ И ДВУМЯ ИЛЛЮСТРАЦІЯМИ.

Цѣна 60 коп.

II

То же изданіе съ семью иллюстраціями

Цѣна 1 руб. 25 коп.

За пересылку прилагается 4 марки по 7 коп.

Стоимость книги и пересылку можно высылать и марками.

ТОРГОВЦАМЪ СКИДКА.

АДРЕСЪ ИЗДАТЕЛЯ: *Москва, Малая Лубянка, домъ Ивановскаго монастыря*, ИЗДАТЕЛЬ Ѳ. И. АНСКІЙ

Доз. ценз. Тифлисъ, 4-го Января 1893 г. სტამბა ᲕᲐ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.